

ძალადობის პრაქტიკები - გარე ძალადობის შეღწევის პრაქტიკა პრივატულ
სივრცეებში

თამარ ქეზურია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ ქებურია

ხელმოწერა და თარიღი

აბსტრაქტი

აბსტრაქტის ტექსტი ქართულ ენაზე: სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დაახლოებით ორთვიანი ჩართული დაკვირვების შედეგად თავმოყრილ ყოველდღიურობის ისტორიებზე, არაფორმალურ დიალოგებსა თუ საველე ჩანაწერებზე, ასევე კვლევის პროცესში განვითარებულ მოვლენებზე დაყრდნობით აგებულ აკადემიური სტილის ტექსტს, რომელიც მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის, მაგისტრის ხარისხის მოპოვების და დაცვის მიზნით.

კვლევაში ძირითადად განხილულია ქალაქ ზესტაფონში მცხოვრები, ერთი კონკრეტული ოჯახის შემთხვევა, რომლის ცხოვრებაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ზესტაფონში ასებულ ფერო-შენადნობთა ქარხანის ინდუსტრიასთან და იმ სოციალურ გარემოსთან, სადაც აღნიშნული ოჯახი ცხოვრობს ეს უკვე 8 წელზე მეტია.

კვლევის პროცესში, დაკვირვების მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა ინდუსტრიული შრომის და საშინაო შრომის პრაქტიკები, სადაც ერთის მხრივ ფერო-შენადნობის ქარხანა წარმოადგენდა ერთ-ერთ დაკვირვების ველს, ხოლო მეორეს მხრივ ამ ქარხანაში დასაქმებული მშრომელის ოჯახის ერთეული.

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანები ყალიბდებიან და სოციალიზდებიან სხვადასხვა სოციო-სივრცით განზომილებებში, მაგალითად როგორიცაა პრივატული და საჯარო სივრცეები, სახლი და სამსახური, დასვენების და შრომის ადგილები, საოჯახო წრე და თანამშრომელთა კოლექტივი, ამ სივრცეების გავლენის წილი ადამიანთა სოციალური ურთიერთობების განსაზღვრაზე, მათ საზოგადოებრივ პოზიციონირებაზე თუ თვითიდენტიფიცირებაზე, განსაკუთრებით მაღალია. შესაბამისად, იმისათვის რათა გავერკვეთ ადამიანთა ყოველდღიურობის პრაქტიკებში, საზოგადოებრივ ფორმაციაში და სოციალური სტრუქტურების ლოგიკაში, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ ამ ველების და მათი მახასიათებლების თვისობრივი ანალიზი.

მოცემული კვლევა წარმოადგენს ორ კომპონენტთან ანალიზს - ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს ინდუსტრიული შრომის სპეციფიკის შესწავლა, ამ შრომის ორგანიზების, სტრუქტურისა და კომოდიფიკაციის პრაქტიკების კონცეფტუალიზაცია; მაშინ როდესაც კვლევის მეორე ელემენტი ახდენს ინდუსტრიულ სოციო-სივრცით კონტექსტში მცხოვრები, ძალაუფლებრივი თუ იერარქიული პრაქტიკებით გაჯერებული ადამიანთა ორგანიზებული ერთეულის, ოჯახის ყოველდღიურობის შესწავლას და ანალიზს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინდუსტრიული შრომა, საშინაო შრომა, საზოგადოება, ექსპლუატაცია, ჩაგვრა

Abstract

The text of the abstract in English: The paper provides a rich and detailed analysis of data such as everyday stories, informal dialogues, field notes and also thick descriptions of ongoing situations, which were collected during the two-months-long participant observation and then transformed into academic paper. This thesis is written in partial fulfillment of the requirements for the Masters Degree of sociology at Ilia State University.

In the paper there is observed the case of the family who lives in the city of Zestafoni already more than 8 years, and whose living mode is closely linked to Ferroalloy Plant industry and also, whose family members is closely bond to surrounding social environment.

The main research focus of my participant observation was on industrial labor and housework practices, where the one research field was allocated at Ferroalloy Plant and another one was the household of worker, who was employed in Ferroalloy Plant.

Taking into account that people are constructed and socialized in between of different social-spatial dimensions, such as private and public spaces, home places and workplaces, leisure time places and labor places, family circle and coworkers' team, the amount of influence of these dimensions on constituting social relationship, public positions or self-identity are quite high.

Accordingly, in order to understand people's everyday practices, social formations and the logic of social structures, it is necessary to carry out the qualitative analysis of these dimensions and their features.

Given research is constituted by twofold analysis – one aspect deals with understanding the special features of industrial labor in order to conceptualize work organization, structuration and commodification of these practices, whereas another aspect aims to understand and analyse the everyday practices of domestic units which are located into industrial context and constituted by power and hierarchal structures.

Key Words: Industrial labor, housework, society, exploitation, oppression

მადლობა

მოცემული სადისერტაციო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული ინტელექტუალური, კვლევითი თუ ექსპერტული რჩევებისთვის და დახმარებისთვის, მსურს მადლობა გადავუხადო კვლევის ხელმძღვანელს ქ-ნ ქეთევან გურჩიანს და კვლევის ასისტენტს, მაია ბარქაიას.

ასევე, მადლობას ვუხდით რუსთაველის ეროვნული ფონდს და სამაგისტრო საგრანტო პროექტის ინიციატორებს, რათა მომცეს შესაძლებლობა, განმეხორციელებინა არსებული კვლევითი პროექტისთვის საჭირო საველე, კვლევითი თუ ტექნიკური საქმიანობები, და ამისთვის ფონდმა გამიწია ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა. და ბოლოს, მადლობას ვუხდით „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგი ცენტრს“ (EMC)-ს და მის კოლექტივს ჩემს მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერისთვის, მოთმინებისთვის და იმ გულისხმიერებისთვის, რომელიც ესეთი მნიშვნელოვანი იყო მთელი კვლევითი, ხოლო შემდეგ წერითი პროცესისთვის. მათი მხარდაჭერა, შინაარსობრივი კონტრიბუცია და გამხნეება, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია იყო კვლევის საბოლოოდ დასრულებისთვის.